

მეზოსტნე 010153
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა.

მეზოსტნეობა აგრარული მიმართულების დარგია. მეზოსტნეობის დარგი ორიენტირებულია ღია და დახურულ გრუნტში აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებაზე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

II. დასაქმების სფერო.

სახელმწიფო და კერძო ფერმერული მეურნეობები, სათბურები.

III. დამატებითი მოთხოვნები

- მეორე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეორე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მეზოსტნის პროფესიული განათლება სამსაფეხურიანია. ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მეზოსტნის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 15 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება მეზოსტნის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მეზოსტნის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 20 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება მეზოსტნის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მეზოსტნის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 25 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება მეზოსტნის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

V. მეზოსტნის კვალიფიკაციის აღწერი

მეზოსტნის მეორე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.	იცის: მცენარის მორფოლოგიური აგებულება, მის ზრდა-განვითარებაზე გარემო ფაქტორების გავლენა; ნიადაგის შედგენილობა და თვისებები; დახურული გრუნტისათვის ნიადაგის მომზადება; სათბურების ტიპები; ჩითილის გამოყვანისა და დარგვის თავისებურებები; მცენარეთა მოვლის აგროტექნოლოგიის საკითხები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით.	შეუძლია მეზოსტნეობის დარგში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის მარტივი და ერთგვაროვანი დავალებების შესრულება. შეუძლია მოამზადოს ქოთნები ან კასეტები თესლის დასათესად და ჩათესოს თესლი.
დასკვნის უნარი	შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ინფორმაცია და ავლენს შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დასკვნის გარკვეული დამოუკიდებლობით გაკეთების უნარს.	შეუძლია მცენარეებზე დაკვირვებით ან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ამოიცნოს პრობლემა, კერძოდ - მცენარის საკვები ელემენტების ნაკლებობა, სხვადასხვა ტექნიკური სამუშაოს ჩატარების აუცილებლობა და გააკეთოს შესაბამისი რეაგირება.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით. შეუძლია ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.	შეუძლია მეზოსტნის პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით, შეუძლია ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე.
სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით.	შეუძლია სხვისი მითითებით ბოსტნეული მცენარეების სასუქებით გამოკვებისა და მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებების შესწავლა.

ღირებულებები	გათავისებული აქვს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად.	გათავისებული აქვს მებოსტნის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. ზრუნავს უსაფრთხოების წესებისა და გარემოს დაცვაზე.
--------------	---	---

მებოსტნის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს	იცის: ნიადაგის დამუშავების თავისებურებები სხვადასხვა კულტურებისათვის; სხვადასხვა ტიპის კვლების მომზადება; სასუქების შერჩევის სპეციფიკა; ჩითილების გამოყვანა ღია და დახურულ გრუნტისათვის; თესლბრუნვის რეგულირება; ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.	შეუძლია: ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური პროცესის დამოუკიდებლად შერჩევა; თესვის ნორმის და წესის შერჩევა და გამოყენება; მცენარეებზე მავნე ორგანიზმების უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრა.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი	შეუძლია მცენარეებზე დაკვირვებით დაადგინოს დაავადების მიზეზი, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნა, შეაფასოს სიტუაცია და მოძებნოს პრობლემის გადაჭრის გზები.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და	შეუძლია მებოსტნის პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, ეფექტიანად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, უცხო ენის ცოდნას.

	საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ღონისძიებების ჩასატარებლად აუცილებელი პროფესიული ცოდნისა და უნარების ათვისება მიწოდებული მასალებისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	აცნობიერებს ბოსტნეული კულტურების აგროტექნიკური ღონისძიებების მნიშვნელობას და მათ აუცილებლობას.

მეზოსტნის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	იცნობს ბოსტნეული კულტურების აგროტექნიკური ღონისძიებების საფუძვლებს. იცის ბიოლოგიური დისციპლინები, კემოდ ბოტანიკა, მცენარეთა ფიზიოლოგია, გენეტიკა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნი	შეუძლია: საბოსტნე მეურნეობების ორგანიზება; მეურნეობებში ბოსტნეულის მოყვანა, გამოზრდა, დამუშავება; თესლების მომზადება დასათესად, როგორც საჩითილე კულტურებისათვის ისე საბოსტნედ; ნიადაგის მომზადება დახურულ გრუნტში; თესვის ვადების დადგენა; ნათესის მოვლა, გამეჩხერება და მთელი წლის განმავლობაში რიგი აგროღონისძიებების შესრულება; მაქსიმალური მოსავლის მიღების უზრუნველყოფა.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.

	განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია ინფორმაციის გაცვლა კოლეგებთან პროფესიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების მოგვარების მიზნით, საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა, საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტაციის წარმოება და ამ მიზნით ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და უცხო ენის ცოდნის გამოყენება.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	შეუძლია სპეციალური ლიტერატურის, მეთოდური მითითებებისა და სახელმძღვანელოების დამუშავება, დარგში არსებული სიახლეების მოძიება. საკუთარი სწავლის დაგეგმვა.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	აქვს უნარი გაითავისოს პრობლემები. იცავს პროფესიული ეთიკისა და მორალის ნორმებს. ზრუნავს უსაფრთხოების წესებისა და გარემოს დაცვაზე.